საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 40 (6534) 1 ოქტომბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრები ამომრჩevლებთან

24 სექტემბერს ლაჯანის სასოფლო კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატების რუბენ ევგენის ძე გაჭრაძის, გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანის, მურთაზ ახმედის ძე ჩაკვეტაძის, გიორგი რეზოს ძე მანდარიას, კარლო სამსონის ძე კვირიკაშვილის შეხვედრა ამ რეგიონის ამომრჩevლებთან.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის ბატონ ედუარდ ამგროსის ძე შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი დავით კაპიტონის ძე კოპალიანი. მან გამოთქვა რწმენა, რომ ქართველი ხალხი გაგებით მოეკიდება არჩევნების ჩატარების აუცილებლობას, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ხმას მისცემს ე. ა. შევარდნაძის კანდიდატურას, ხმას მისცემს ღირსეულ პარტიებსა და ბლოკებს, დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებს.

ამომრჩevელთა წინაშე გამოვიდნენ დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატები. მათ წარმოადგინეს თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმა და პროგრამა. ილაპარაკეს საქართველოში არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე, რაიონის პრობლემებზე, შეეხენ ქვეყანაში მართლწესრიგის უცილობელი განმტკიცების, კანონის უზენაესობის მიღწევის, მშრომელთა სოციალური დაცვისა და სხვა აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებს.

არჩევნები უნდა ჩატარდეს!— გამოიკვეთა შეხვედრის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი. უნდა ჩატარდეს, რათა ქვეყანა მართოს ლეგიტიმურმა მთავრობამ, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, შეწყდეს სისხლისღვრა და ბოლოსდაბოლოს ამოისუნთქოს ქვეყანამ.

* * *

ამომრჩevელთა და დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა ასეთივე შეხვედრა გაიმართა 29 სექტემბერს ქ. ცაგერში, სარაიონო კულტურის სახლში.

შეხვედრაზე გამოვლინდა ამომრჩevელთა აქტიურობა.

პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91“-ის

რაიონული ორგანიზაციის მიმართვა ლეჩხუმელი ამომრჩevლებისადმი

ახლოვდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დღე. მიგვაჩნია, რომ არჩევნების ჩატარება ქვეყნისათვის სასიცოცხლო აუცილებლობაა. ამასთან ქართველმა ხალხმა ამჯერად მაინც უნდა აირჩიოს ისეთი პარლამენტი, რომელიც კერპადქცეული რომელიმე პიროვნების ნების შემსრულებელი კი არ იქნება, არამედ უპირველესად ქვეყნის ინტერესებს დაიცავს.

არჩევანის შესაძლებლობა კი საკმაოდ დიდია. პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ჭრელ სპექტრში უთუოდ არის რამდენიმე ძლიერი, გამოცდილი და პერსპექტიული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთაც თავისუფლად შეიძლება ვანდოთ ქვეყნის ბედი, საჭიროა მხოლოდ ამომრჩevლის დაკვირვება და პასუხისმგებლობა ერისა და საკუთარი თავის წინაშე.

არანაკლები პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატის არჩევის საკითხს. როცა ქვეყანა ნგრევისა და შიმშილის ზღურბლზეა, აუცილებელია მიზანმიმართული, მტკიცე რეფორმატორული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მისი შემუშავება და განხორციელება კი პროფესიონალი ეკონომისტების საქმეა. ოღონდ ესაა: პროფესიონალიზმთან ერთად კანდიდატის პატიოსნება, პრინციპულობა, სხვა საქმიანი და პირადი ღირსებებიც იქნეს მხედველობაში მიღებული. ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ, როცა მხარს ვუჭერთ დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატს ბატონ გელა ჩარკვიანს.

გამორიცხული არ არის ამომრჩevელთა ნებაზე ძალდატანების, საარჩევნო ბიულეტენებისა და ამომრჩevელთა სიებში ხელმოწერათა გაყალბებისა და სხვაგვარ ფალსიფიკაციათა მცდელობა. ამიტომ თითოეულ საარჩევნო უბანში წარვადგენთ მეთვალყურეებს, რომლებიც შეეცდებიან აღკვეთონ ასეთი ფაქტები.

ძვირფასო ამომრჩevლებო! უკვე მერამდენედ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, გამოვიჩინოთ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და პასუხისმგებლობა.

ცაგერი. 29 სექტემბერი, 1992 წელი.

პარაზიული სიებით კენჭს იყრიან

ცაგერის რაიონიდან:

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობენ პარტიები და ბლოკები. ბევრის პლატფორმასა და პროგრამას მეტ-ნაკლებად იცნობთ.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების № 6 (ამერეთის) მრავალმანდატიან ოლქში პარტიული სიებით კენჭს იყრიან ჩვენი რაიონის მკვიდრნი.

დემოკრატიული პარტიისაგან:

გუგავა ტარიელ აქვსენტის ძე—1933, ტექნოლოგი, ტყიშეს ღვინის ქარხანა, დემოკრატიული პარტია.

ხეცურიანი ბორის აკაკის ძე—1930, პედაგოგი, ცაგერის კინოფიკაცია, დემოკრატიული პარტია.

პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია—91“-საგან:

ხმელიძე ია გურამის ასული—1963, ჟურნალისტი, ცაგერის რაიონული გაზეთი „ლეჩხუმი“, „ქარტია—91“.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირისაგან:

შუბულიანი ბადრი ალექსანდრეს ძე—1958, პენსიონერი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, უპარტიო.

არჩევნებში თქვენი უფლებები გარანტირებულია

მოახლოვდა საქართველოს ბედისათვის გადამწყვეტი არჩევნები. ახლო წარსულის გამოცდილებამ უფრო გონივრული ნაბიჯი უნდა გადაგვადგმევინოს ამ საპასუხისმგებლო მოვლენის მაღალ დონეზე ჩატარების მისაღწევად, რადგანაც ეჭვსგარეშეა, რომ მხოლოდ მასზეა დამოკიდებული სამშობლოსა და ერის მომავალი, ჩვენი შვილების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მშვიდობიანი ხვალინდელი დღის უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ 1992 წელს, 16 სექტემბერს გამოსცა დეკრეტი „მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელების ხელის შეშლისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც ცვლილებები შეიტანა და გაამკაცრა ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მოტყუებით, მოსყიდვით, მუქარით, ძალადობით ან სხვა გზით—ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით, ან ჯარიმით სამიათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღის ან საბრძოლო მასალის გამოყენებით, აგრეთვე მოქალაქის ქონების განიავებით ან განადგურებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი—ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 174-5 მუხლი და დაწესდა პასუხისმგებლობა წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისთვის გამოყოფილ ადგილებში იარაღით მისვლაზე. ასეთ ადგილებში ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ანდა საბრძოლო მასალით მისვლა, თუ ეს დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მდგომარეობის აღსრულებასთან, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ხოლო თანამდებობის პირთა—ორიათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება თუ თან ახლავს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის, ანდა საბრძოლო მასალის დემონსტრირება, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორიათას მანეთამდე, ხოლო თანამდებობის პირთა—სამიათას მანეთამდე.

კანონის ეს მოთხოვნა მკაცრად უნდა იქნეს დაცული ყველა პირის მიერ, ვისაც საქართველოს მომავალი და ხვალინდელი დღე აინტერესებს.

ლ. გურგუჩიანი,
ცაგერის რაიონის მოსამართლე.

ყურადღება

8 ოქტომბერს, შაბათს ქუთაისის სატელევიზიო არხზე (მოსკოვის 1 პროგრამა), რომელიც ეთერშია 8 საათსა და 45 წუთიდან 9 საათსა და 45 წუთამდე, შეგიძლიათ მოუსმინოთ დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატს საქართველოს პარლამენტის არჩევნების № 45 საარჩევნო ოლქში ბატონ გელა ჩარკვიანს.

რა უნდა იცოდეს ამომრჩevველმა

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები. დღევანდელი უაღრესად დაძაბული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსავალი არჩევნების აუცილებლად და მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარებაა. საჭიროა ქვეყანას ჰყავდეს კანონიერი მთავრობა, კანონიერად არჩეული პარლამენტი.

ყველა ამომრჩevველი, ვისაც საქართველოს სიკეთე და აღორძინება უნდა, არჩევნების დღეს, 11 ოქტომბერს დილის 7 საათიდან 20 საათამდე გამოცხადდება საარჩევნო უბანში და მოიხდის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საარჩევნო უბანში მოსულმა ამომრჩevველმა პირველ რიგში უნდა იცოდეს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ვის აძლევს ხმას, რომელი პარტიული ბლოკი, პარტია, ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატი და პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაა მისთვის სასურველი და ამის მიხედვით შეასრულოს ის პროცედურა, რომელიც ბიულეტენების შევსებასთანაა დაკავშირებული.

ბიულეტენების შევსების წესის ცოდნაც გასათვალისწინებელია ამომრჩevლისათვის, ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს დებულების შესაბამისად.

საარჩევნო უბანში მისული ამომრჩevველი დებულობს 8 ბიულეტენს: პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურისათვის ხმის მისაცემ ბიულეტენს, ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატისათვის და პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის ხმის მისაცემ ბიულეტენებს.

(დასასრული ზე-2 გვერდზე)

ჩვენი წარდგინება

როგორც ჩვენთვის ცნობილია, რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილია 10 მრავალმანდატიანი და 84 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით.

პარლამენტის № 6 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრებში შესულია ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ხარაგაულის, თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის და ხონის რაიონები, ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს ზონები, ქალაქი ქუთაისი. ოლქში არჩეულ უნდა იქნას პარლამენტის 24 დეპუტატი.

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირს ამ ოლქში წარდგენილი ჰყავს დეპუტატობის 24 კანდიდატი. კანდიდატთა შორის № 1-ია სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანება „წყალმშენის“ უფროსი, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თანათავმჯდომარე—იუზა ვალერიანის ძე ჩაკვეტაძე.

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირსა და მის წევრებს დიდი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ერის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში. მისი მიზანია ქართული სოფლის აღორძინება. მიწის კერძო საკუთრებაში კანონიერად გადაცემა და იქ მოწეული ჭირნახულის თავისუფალი განკარგვის უფლებების მიცემა, სოფლის და ქალაქის მშრომელთა სოციალური დაცვა, მშრომელთა დარაზმვა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პირობების მკვეთრი გადიდება, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, მრეწველობა—ნედლეულით.

კავშირი ილაშქრებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის. ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდების, რელიგიური შუღლის გაღვივების წინააღმდეგ, გმობს სადავო საკითხების ძალადობით გადაწყვეტას.

მოითხოვს არსებული სოციალურ დაცვას, ფასების დაუსაბუთებელი (ხელფასების მომატების გარეშე), ცალმხრივი გადიდების შეჩერებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკათა და სხვა მასალებით, პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებისა და სატრანსპორტო და სხვა. მომსახურების

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი

ული დაყოფის გათვალისწინებით.

პარლამენტის № 6 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრებში შესულია ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ხარაგაულის, თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის და ხონის რაიონები, ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს ზონები, ქალაქი ქუთაისი. ოლქში არჩეულ უნდა იქნას პარლამენტის 24 დეპუტატი.

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირს ამ ოლქში წარდგენილი ჰყავს დეპუტატობის 24 კანდიდატი. კანდიდატთა შორის № 1-ია სახელმწიფო საწარმოთა

ბიუროკრატიულ სტრუქტურებს გარდაქმნას, მოშგებიანი ეროვნული მეურნეობისა და კოოპერატივების (საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი) შენარჩუნებას. წამგებიანი მეურნეობებს ლიკვიდაციას ან პრივატიზაციას, თავაწყვეტილი სპეკულაციის, რომელიც დღეს კომერციად, ხოლო სახელმწიფო ქონების მითვისება-ძარცვა—ბიზნესად აღიქმება (რითაც ფეხქვეშ თელება ადამიანის უფლებები, ხოლო მისი სოციალური დაცვის გარანტიები ნულამდე დაყვანილი) აკრძალვას.

მოითხოვს მოსახლეობის და პირველ რიგში მიწათმოქმედთა და სოფლის მშრომელთა

გაუმჯობესებას, ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებას, შინაომლობის დაძლევას. ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას უსასხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე.

ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების, ქონების ხელყოფასთან მიაჩნია ხელისუფლების უპირველეს მოვალეობად.

დღეს, როცა საქართველოს ასე ძლიერ უჭირს, საშინელ ეკონომიკურ პირობებში ვართ, ცეცხლის ფასია ყველაფერი, ერთადერთი ხსნაა რესპუბლიკის პარლამენტში გვყავდეს ყოველმხრივ მოქმედებული, ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებები. სწორედ ამგვარი ადამიანებია

დასახელებული სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირისგან პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად ათავსებენ ამ. ... მისცეთ ძალა. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ საქართველოში დემოკრატიის გამარჯვებას, მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას.

გთხოვთ 11 ოქტომბერს მობრძანდეთ საარჩევნო ყუთებთან და მისცეთ ხმა სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირს.

აპოლონ კოზმანიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი.

როინ ლიპარტელიანი,
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

იზა ჯაჰვაძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი.

ბიძინა მელაძე,
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თანათავმჯდომარე.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის:

თქვენი გონიერების იმედით

უმძიმესი ვითარებაა რესპუბლიკაში, მტრულად განწყობილი შინაგანი თუ გარეგანი ძალები იყენებენ ყველა არადამაბნერ საშუალებას, რათა მთლიანად მოშალონ ეკონომიკა, გაანადგურონ და გაარღვიონ ეთნოკონფლიქტები, დაანგრიონ მოსახლეობა და ამ მიზნით გაფართოონ დივერსიები, ბანდიტიზმი, ტერორი, ადამიანთა მოტაცება, ძარცვა-პროვოკაციები, შანტაჟი და სპეკულაცია, ეკონომიკური ბლოკადა. შეიარაღებული თავდასხმები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და უცხოტომელთა მიერ ძალითა და მუქარით ... დაკავება—დასახლებისათვის. ამ მიმართებით ...ინი არ ერიდებიან ფართო მასშტაბით, პრესით, რადიოტელევიზიით ...ლისწამებას. სარწმუნოებრივ აქციებსაც კი.

ასეთ რთულ პირობებში უპირველესი ამოცანაა განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის მოდელი. შემუშავდეს დროის მოთხოვნის შესაბამისი კონსტიტუცია, შემოქმედებითი პროგრამა და წესდება, ენერგიული კანონმდებლობა. ჩამოყალიბდეს ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მმართველობის სტრუქტურები, რომლებიც დაიცავენ ადამიანის პიროვნების ღირსებას, მკაცრად განსაზღვრავენ მის უფლება-მოვალეობას. განამტკიცებენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, აღკვეთენ ანარქიას და ქაოსს, რაც ასე საშინლად არის დღეს ფეხმოკიდებული ცხოვრების ყველა უბანზე, დამკვიდრებენ მშვიდობას.

დიახ, პრობლემები ერთობ ბევრია, იმისათვის რომ პრაქტიკულად მოწესრიგდეს ყველა პრობლემა, რაც ჩვენი ერის სამომავლო განვითარებასთან არის დაკავშირებული, საჭიროა ორგანიზებულად ჩატარდეს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის პრინციპით, — რომელიც დანიშნულია მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს.

მათ რიცხვში, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული საარჩევნო კამპანიაში, არის სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტია, რომელიც გასული წლის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა რესპუბლიკაში. მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში მან თავისი სასიკეთო წვლილი შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარტიას აქვს თავისი მყარი სამოქმედო პროგრამა და წესდება, თავისი მყარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა. საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოწყობის პროგრამა, რომელიც სწორად და მიზანდასახულად პასუხობს დროის მოთხოვნებს, მხარს უსწორებს მოწინავე ცივილიზებულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ პარტიების კონცეფციებს და შეხედულებებს, — რომელთა საშომავლოდ განხორციელება ქმნის სრულ შესაძლებლობებს, რომ ჩვენს სამშობლოში დამკვიდრდეს დემოკრატიზმი, აღორძინდეს ეკონომიკა, პრძმონულად განვითარდეს საზოგადოება, დამკვიდრდეს მშვიდობა.

ძვირფასო თანამემამულენო! სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაცია მოგიწოდებთ და მოგმართავთ თხოვნით—არ დაუშვათ შეცდომები საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში გასაგზავნი დეპუტატების არჩევაში, გაითვალისწინეთ წინა არჩევნების სავალალო და სამწუხარო შედეგები, კარგად გაერკვეთ რესპუბლიკაში მიმდინარე ურთულეს პროცესებში, მომავლის სირთულეებშიც და ხმა მიეცით მხოლოდ და მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულს, რომლებიც შეძლებენ საქართველოს ბედის მიმიე ულის ზიდვას.

იმედია საფუძვლიანად გაეცნობით სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამას და წესდებას, დეკლარაციას პარტიის ეკონომიკური პლატფორმის შესახებ, და სასარგებლო ხმას მისცემთ მომავალ არჩევნებში. გწამდეთ, რომ დემოკრატიული პარტია, მისი ყველა წევრი თავდადებით იღვაწებენ სამშობლოდაც ქართველი ხალხის უკეთესი მერმისის დასამკვიდრებლად.

გახსოვდეთ, რომ იმაზე, თუ როგორ მაღალორგანიზებულად ჩატარდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები, გადამწყვეტწილად იქნება დამოკიდებული თითოეული ჩვენთაგანის, მთელი ერის ბედი. მხოლოდ ერის მთელი სასიცოცხლო ძალების მობილიზება და კოორდინაცია, ფიზიკურ-სულიერი ერთობა იხსნის ერს დაღუპვისაგან.

სინდისი და გონიერება იყოს თქვენი მეგზური მომავალ არჩევნებში.

ყველანი არჩევნებზე!

სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის.

ორგანიზაციის თავმჯდომარე.

გურამ ვაჩაძე.

რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა

(დასასრული)

პარლამენტის თავმჯდომარის ხმის მიცემა ბიულეტენში შეტანილი იქნება მხოლოდ ერთი კანდიდატურა. 1. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. თუ ამომრჩეველი მხარს უჭერს ბატონი ედუარდის კანდიდატურას, მაშინ მან ეს ნომერი უნდა შემოხაზოს წრის შიგნით. ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ ამომრჩეველი მხარს არ უჭერს მის კანდიდატურას.

ადგილობრივი დეპუტატის საარჩევ ბიულეტენში ჩვენს № 45 საარჩევნო ოლქში შეტანილ იქნება 5 კანდიდატურის გვარი, სახელი და მამის სახელი წინასწარი კენჭისყრის ალფაბეტის მიხედვით. ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს იმ კანდიდატურის ნომერი, რომელსაც იგი მხარს უჭერს, დანარჩენი გვარები გადახაზოს.

ბიულეტენი ნამდვილად ჩაითვლება, თუ სჩანს ამომრჩევლის ნება რომელ კანდიდატურას უჭერს მხარს. ორი ან მეტი კანდიდატურის შემოხაზვის შემთხვევაში ბიულეტენი გათილია.

ოთხ უფრო რთულია მესამე ბიულეტენი, სადაც ჩამოთვლილია 4 საარჩევნო ბლოკი და 32 პარტია. ყოველი ბლოკის ან პარტიის დასახელების წინ არის ცარიელი უჯრა. ამომრჩეველმა ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ ბლოკის ან პარტიის დასახელების წინ მოთავსებულ ცარიელ უჯრაში, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონს. ამით ამომრჩეველს შეუძლია დაპამთავროს არჩევანი, მაგრამ იმის უფლებაც აქვს, რომ ციფრი „2“ დაუწეროს იმ ბლოკს ან პარტიას, რომელიც მოსწონს იმ ბლოკის ან პარტიის შემდეგ, რომელსაც ციფრი „1“ დაუწერია. ამომრჩეველს შეუძლია ამაზე შეჩერდეს, მაგრამ შეუძლია ისიც, რომ ციფრი „3“ დაუწეროს იმ ბლოკს ან პარტიას, რომელიც მოსწონს იმათ შემდეგ, ვისაც „1“ და „2“ დაუწერია. „1“ ნომერი ფასდება 5 ქულით, „2“ ნომერი—3 ქულით, „3“ ნომერი—2 ქულით. ამომრჩეველს აგრეთვე შეუძლია დაწეროს ციფრი „4“, „5“ და ა. შ. მაგრამ ეს ნომრები ქულებით აღარ შეფასდება. დანარჩენი უჯრები ამომრჩეველმა უნდა გადახაზოს.

ბიულეტენი ნამდვილად ჩაითვლება, თუ რომელიმე ბლოკს ან პარტიას უწერია ციფრი „1“, სხვა შემთხვევაში ბიულეტენი გათილად ჩაითვლება

ვფიქრობ, რომ თუ ამომრჩეველი კარგად გაიცნობიერებს ბიულეტენების შევსების წესს, დინჯად, აუჩქარებლად, სწორად შეავსებს მათ, ამით ხელს შეუწყობს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას.

ერთია, ამომრჩეველი გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მაგრამ თუ მის მიერ შევსებული ბიულეტენი არასწორად შევსების გამო გათილად იქნება ცნობილი, ამ ამომრჩევლის ნება სასურველი კანდიდატურის ასარჩევად განუხორციელებელი რჩება.

გთხოვთ, ძვირფასო ამომრჩეველებო, გამოცხადდეთ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში და გამოხატოთ თქვენი ნება პარლამენტში სასურველი კანდიდატურების მხარდაჭერით.

გელა ხვადაგიანი,
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

როცა ასე უჭირს საქართველოს, ლეჩხუმს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედით შეჰყურებს სრულიად საქართველო არჩევნების დღეს- 11 ოქტომბერს. ამ დღემ წაღმა უნდა დაატრიალოს ქვეყნის ბედ-ილბალი. ეს ყველაფერი მომავალი პარლამენტის გონსა და კასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ამიტომაც რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებს მივმართეთ ერთი, ჩვენის აზრით, საინტერესო პრაქტიკული კითხვით:

—რესპუბლიკის არასახარბიელო პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა, გუნებრივია, ასახვას პოულობს რაიონის ცხოვრებაშიც. დღეს ლეჩხუმი უამრავი პრობლემის წინაშეა. საქართველოს პარლამენტში თქვენი არჩევის შემთხვევაში, რომელს მიიჩნევდით პირველი რიგის გადასაწყვეტად და რა გზას უყურებთ საამისოდ?

გთავაზობთ დეპუტატობის კანდიდატთა პასუხებს მცირეოდენი შემოკლებით.

რუბენ ევგენის ძე ბაქრაძე:

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ პარლამენტის წევრი ვიქნები, მაგრამ ვინც იქნება, იმ უამრავ პრობლემათა ჯაჭვში ის როგორ უნდა ამოსწოროს. რომელიც ყველა დანარჩენს უშველის. მე ასეთ რგოლად მესახება კანონის უზენაესობა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა. თავად განსაჯეთ: ადამიანი გარეთ ვერ გამოსულა, ისიც ლეჩხუმში. სახლს ლატოვების, ქუჩაში გავლის ეშინია. ქურდის, ბანდიტისა და სხვა ავაზაკის შიშით ცახცახებს. გვაქვს კანონი? არა. ვიდრე ახალი პარლამენტი მიიღებს მას, ჩვენ თვითონ უნდა ვუპატრონოთ თავს. ქურდი, ბანდიტი და ა. შ. ჩვენი რიგებიდან არის გამოსული. ჩემი აზრით, მათ მიმართ სასჯელის გამკაცრება, რაც ასე პირზე აკერია ყველას, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ჩვენც მიგვიძღვის მათ წინაშე ბრალი. არ მიგაქციეთ ყურადღება, არ მივიღეთ სამუშაოზე—აქაო და ნაცხარი ხარო. შენზე სხვა შეხედულებები არსებობსო. რას იზამ. ზოგს ერთი ფეხის გადაბრუნება არ ეპატიებოდა და ციხეში ამოყოფდა თავს. ზოგს კი მილიონების მითვისებას. ნებისმიერ დანაშაულს აპატიებდნენ. ახლაც ჩვენს თვალწინ „საქმოსნობს“ ერთი სოლიდური მეურნეობის დირექტორი. კომერციულ წერტილებში დაძვრება, დიდი ფულის შოვნითაა გატაცებული, როცა დაწესებულებაში საქმე ჩაშლილი აქვს. სამსახურში იშვიათად ნახავ, დანაშაულს ჩადის და ასეთი „დირექტორი“ მთხოვნელს უტიფრად ეტყვის— ვერ მიგიღებ ნაცხარი ხარო. მე რომ მკითხოს კაცმა უარით გასტუმრებული პიროვნება ქურდობას რომ ჩაიდენს, ის კი არა. ეს დირექტორი უნდა დაიხვრიტოს.

მოსწავლე ახალგაზრდობას თავს ვუტენით ფრაზებით: სკოლას — სკოლას რომ დავამთავრებთ, თქვენს წინ ფაფაშლება სწავლისა და შრომის ფართო ასპარეზი. სინამდვილეში მათ წინ აშლება უმუშევრობისა და უყურადღებობის ასპარეზი. ზოგი დირექტორი, გამგე, უფროსი თავისთვის მუშაობს, აგროვებს სიმდიდრეს, კაპიტალს, სხვების მიმართ კი მოქმედებს დევიზით: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“.

ოდით, ჩავიხედოთ საკუთარ გულში, გავუგოთ ერთიმეორეს უმუშევარს და გაჭირვებულს დახმარების ხელი გავუწოდოთ. გვეტკინოს მისი ტკივილი და ღამერწმუნეთ, რომ კეთილი ურთიერთობა ჩვენივე გამომუშავებული კანონით დამყარდება.

გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი:

ვინაიდან სპეციალობით ეკონომისტი ვარ, მკითხველი, ალბათ, პირველ რიგში, ამ კუთხით ელოდება პასუხს. მიუხედავად ამისა, როგორც სრულიად საქართველოში, ასევე ლეჩხუმში პირველი რიგის პრობლემად წესრიგის დაცვა მიმაჩნია. ვინაიდან, თუ წესრიგი ვერ დავამყარეთ, ნებისმიერი წამოწყება, როგორ პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათისა, განწირული იქნება. მართალია, ლეჩხუმში არც ომია და არც ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, მაგრამ მანიც ფართო მასშტაბი მიიღო ქურდობამ და ყაჩაღობამ. მოსახლეობა დაუცველია. წესრიგის დასამყარებლად კი აუცილებელია მთელი ძალით ამოქმედდეს პოლიცია. ხელისუფლებამ უნდა შეძლოს მისი აღშურვა იარაღით. საკითხის დადებითად გადაჭრას ხელს შეუწყობს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტების მოგვარება. არჩევნების სათანადო დონეზე ჩატარება კი პოლიტიკურად განაიარაღებს წინა ხელისუფლების მომხრეებს და, თუ ისინი მანც არ შეწყვეტენ წინააღმდეგობას, საქმე ბანდებთან გვექნება, რომლებსაც მთელი ძალით უნდა ვებრძოლოთ.

მთლიანად საქართველოში და ლეჩხუმშიც უკიდურესად გართულებულია მგზავრობა. სწავლის დეფიციტმა გლეხი საკუთარ ეზო-კარს მიაჯაჭვა. სოფლის სავაჭრო ქსელში ვეღარ ხერხდება სამრეწველო პროდუქციის შემოტანა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტს განიცდის ქალაქი. ამ პრობლემას მოევლება იმ ძირითადი სარკინიგზო და საავტომობილო არტერიის გახსნით, რომელიც აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გამო გადაკეტილი.

ასევე სასწრაფოდ გადასაწყვეტ საკითხად მიმაჩნია მიწის პრივატიზების პრობლემა. ნებისმიერმა მოუფიქრებელმა ნაბიჯმა საკალო შედეგი შეიძლება გამოიღოს. უნდა დაჩქარდეს მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ კანონის მიღება და მიზანმიმართულად განვახორციელოთ მიწების გლეხზე გადაცემა. თუ არჩევნების სათანადო დონეზე ჩატარება შეძლებთ, ახლად არჩეულმა პარლამენტმა უახლოეს ხანში უნდა შეიმუშაოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც თითოეულ რაიონს და მათ შორის ლეჩხუმსაც საშუალებას მისცემს აამოქმედოს შრომითი და მატერიალური რესურსები, ხელს შეუწყობს ადგილებზე ნიჭიერი, უნარიანი ადამიანების წარმოჩენას.

მურთაზ ახმედის ძე ჩაკვეტაძე:

—მიმაჩნია, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში უნდა მოხდეს სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების, მათ შორის უპირატესად კერძო საკუთრების დამკვიდრება, კერძო მეწარმეობის ფენის ჩამოყალიბება და საბაზრო მეურნეობაზე რეალური გადასვლა;

—რაიონში მცირე ბიზნესის განვითარება, არსებული ყველა ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს რაიონის ეკონომიკის რეანიმაციას, მის გამოყვანას გაჭიანურებული კრიზისიდან და სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესებას;

რაიონში ფაქტიურად არ ფუნქციონირებს არცერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეურნეობათშორისო გაერთიანება). მათი კუთვნილი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განიავებულია. საჭიროდ მიმაჩნია, რაიონის მმართველობითი ორგანოს უშუალო ხელმძღვანელობით სასწრაფოდ გაძლიერდეს ადგილებზე სალიკვიდაციო კომისიების მუშაობა, რომლებიც მოახდენენ არსებული ქონების სრულ ინვენტარიზაციას და მათ კანონიერ რეალიზაციას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

—გაუქმებული კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე ადგილებზე ცალკეულ საკრებულოებთან ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას მომსახურების სფეროს საწარმოები და ქვედანაყოფები, რომლებიც მოსახლეობას მოამარაგებენ საჭირო საწვავ-საცხები მასალებით, შხამ-ქიმიკატებით, მომსახურებას გაუწევენ ტექნიკით და მცირემექანიზაციით.

შემდგომში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს განთავისუფლება მათთვის არათვისებრივი ფუნქციისაგან— მეურნეობრიობისაგან;

—მდინარე ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირდამცავი სამუშაოების მშენებლობის გაგრძელება, რომლის დამთავრება ხელს შეუწყობს 300 ჰექტარამდე მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას;

—რაიონში ენერგეტიკული კრიზისის თავიდან აცილებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს აღდგეს ადრე არსებული მცირე ჰესები ორბელის, ქორენიშის და რაჩხის, რომელთა ექსპლუატაცია უარყოფით გავლენას არ მოახდენს ეკოლოგიური თვალსაზრისით.

გიორგი რეზოს ძე მანდარია:

სანამ არ აღიკვეთება იმ უკანონო შეიარაღებული ბანდებისა და პიროვნებების პარპაში, რომლებიც აწიოკებენ და ძარცვავენ მოსახლეობას, არ აძლევენ მათ ნორმალური ცხოვრებისა და შრომის საშუალებას, სანამ ყველა შეიარაღებული ნაწილი არ გაერთიანდება ერთ, საერთო ხელმძღვანელობასა და კანონიერი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ საჯარისო ფორმირებაში, სანამ მკვეთრად არ გამიჯნება ეროვნული არმიის, პოლიციისა და სპეცსამსახურების ფუნქციები, სანამ არ აირჩევა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ რაიონში შექმნილ სიტუაციას, მანამ ხელმეტია ლაპარაკი რაიმე წინსვლაზე.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, რომელსაც სახელმწიფო უსახსრობის გამო ვეღარ აფინანსებს. სასოფლო-სამეურნეო საგარგულები უნდა ვადაეცეს გლეხებს კერძო საკუთრებაში. დაბეგვრას გარკვეული ვადის მოხსნით ან მისი მნიშვნელოვნად შემცირებით.

ათვისებული და ხალხის სამსახურში ჩაყენებული უნდა იქნას რაიონის მდიდარი ბუნებრივი რესურსები. სხვადასხვა სახის წიაღისეული, კეთილმოწყობილი უნდა იქნას რაიონის შესანიშნავი კურორტები. ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას. ყველაფერი ამის რეალიზება საკუთარი ძალებით ალბათ ვერ მოხერხდება. საჭიროა უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ოღონდ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ რაიონის და ქვეყნის ინტერესები არ შეიღახოს.

ყოველივე ეს უნდა გაკეთოს რაიონის მოსახლეობამ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელშეწყობით, რომლებშიც თვით ამ მოსახლეობამ უნდა აირჩიოს ღირსეული და გონიანი ადამიანები.

რა ფუნქცია დამეკისრება მე ამ საკითხების გადაწყვეტისას ჩემი პარლამენტში არჩევის შემთხვევაში?

ვიბრძოლებ იმისათვის, რომ პარლამენტმა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და ხალხს საკუთარი შეხედულებისამებრ, სხვისგან დამოუკიდებლად და ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე გადაჭრან ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვერ გადაჭრიან რაიმე პრობლემას, დავსვამ პარლამენტის წინაშე და შევეცდები მის დადებითად გადაწყვეტას.

კარლო სამსონის ძე კვირიკაშვილი:

უამრავი პრობლემიდან, რომლებითაც შეჭირვებულია მთელი ქართველობა და მათ შორის ლეჩხუმელი მოსახლეობა, უპირატესად მივიჩნევ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება— ბანდიდან იარაღის ამოღებას, რამეთუ დემოკრატიულ სახელმწიფო არ აშენდება იარაღისა და ძალის გამოყენებით. ადამიანები უნდა განთავისუფლდნენ შიშისაგან და მიეცეთ თავისუფალი აზროვნებისა და კანონის უზენაესობის ქვეშ მოქმედებისა და ცხოვრების საშუალება.

—თავარზე უმთავრესია ერის გამთლიანება, ეროვნული შერიგება.

აუცილებლად მიმაჩნია რაიონში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების (სოფლის საკრებულო) რიცხვის 10-11 ერთეულით გაზრდა, რაც განაპირობებს მშრომელთა მომსახურების უკეთ მოწყობას და სოფლების აღორძინებას ყველა მიმართულებით.

რაიონის ხელმძღვანელობის ყველა რგოლში უნდა მოხდეს ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური და უაღრესად პრინციპული კადრების მოზიდვა, რათა თავისუფალმა აზროვნებამ ფართო სპექტრით მოიცვას წარმოებითი ურთიერთობის ახალი სტრუქტურები.

რაიონის ეკონომიკა ძირითადად ლეჩხუმელმა კაცმა უნდა შექმნას და მართოს. ყველამ— კერძო საკუთრების უპირატესი განვითარებით—წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი და როცა კი ახალ საფეხურზე ავა, მაშინ ადვილია ურთიერთხელსაყრელ პირობებში ჰორიზონტალური კავშირების დამყარება ნებისმიერ მწარმოებელთან. უნდა ვიფიქროთ თანაბარ პირობებში მიწის პრივატიზაციის დაჩქარების გზით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ახალ ორგანიზაციაზე, ფასების რეგულირებაზე საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში. ენერგეტიკული რესურსის ბალანსის ზრდაზე, მინერალური წყლის, ქვის, სამშენებლო მასალების და სხვა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მრეწველობის სფეროში მოქცევაზე.

გარდაქმნას მოითხოვს საფინანსო-საბანკო და საგადასახადო ინსპექციის დამოკიდებულება კოოპერატივებისა და კომერციული მაღაზიების საქმიანობასთან. რაიონის საფინანსო-საკრედიტო სისტემა უნდა იყოს გარანტი თავისდროულად გასცეს მშრომელ ა ხელფასი, პენსიები თუ სხვა თანხებ

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ირმა ბუგაევას, მამუკა ქარსელაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემტკიცე ყოფილიყოს თქვენი ახალშექმნილი ოჯახი.

ინეზა გვიშიანი, ზაზა ყურაშვილი.

ლელა გივის ასულ გიორგობიანს
ჯონი ვალიკოს ძე გურჯალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. იხაროს თქვენმა ახალშექმნილმა ოჯახმა.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნაირა ჭაბუკიანს, რომან ჯანაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

ბელა, ომარ სილაგაძეები.

ნაირა ჭაბუკიანს, რომან ჯანაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

ლაჯანის ბაგა-ბაღის კოლექტივი.

დარეჯან გორბიანს **გია გოგებაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

კახა ბურჯალიანი, ბადრი გურგუჩიანი.

ნაირა ვასილის ასულ ჭაბუკიანს
რომან ანზორის ძე ჯანაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, გწყალობდეთ ღმერთი აწ და მარადის.

გურამ ტყაბლაძე, სამსონ ჩხეტიანი ოჯახებით.

გილოცავთ

ხათუნა, ამირან, შოთა ხვადაგიანებს
ლოლა გურჯალიანს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგვეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

ლასურიაშის საკრებულოს, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების, საექიმო ამბულატორიისა და კბილის კაბინეტის თანამშრომლები.

ეკა, დათო დაშნიანებს
გულსუნდა, კუკური გასვიანებს
ნათელა, ჟორა დაშნიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახისათვის.

ნანული, მაყვალა, მარინა, ზურაბ, მამია, გია, ზაალ დაშნიამები.

გულნაზი, მურმან თვარაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნონა, რამაზ ჯინჭარაძეებს
ამალია, ნოდარ მესხაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ციალა გოდერძიძეს, შოთა გუაძეს

გილოცავთ შვილის, ნინოს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

იზოლდა გიორგის ასულ ყურაშვილს

გილოცავთ მაღონას ბედნიერებას. შეექმნას ფუძემტკიცე ოჯახი.

ლასურიაშის საკრებულოს, ბიბლიოთეკის, კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების, საექიმო ამბულატორიისა და კბილის კაბინეტის თანამშრომლები.

სოფიკო ვარძეს

გილოცავთ დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

მალხაზ არჩვაძე, კოტე, კობა ღურჭუმელიძეები, ბაკურ ტვილდიანი, ჟაგა ყურაშვილი, ლელა გიორგობიანი, მარიკა ახვლედიანი, ნინო ფრუიძე.

გულო, თამაზ ბენდელიანებს

გილოცავთ ნატოს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

მარინე შკუბულიანი, ნელი, ვალერი ლეთოდიანები, მირანდა, ავთანდილ ხაბულიანები, ამირან, ბორის ხეცურიანები, გოგი კოპალიანი, თამაზ თაგვაძე, გულო ახვლედიანი, ზურაბ ბენდელიანი, ჯამლეთ ნემსაძე, იზოლდა კაჭკაჭაშვილი.

თამარ გურულს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

ლაჯანის სანავი სავადმყოფოს თანამშრომლები.

კატუშა ონიანს, მერი ცხვედიანს, ლუბა გუგავას

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. გაზრდილიყვნენ ერის სასახელო შვილები.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექნიკური პერსონალი.

პაატა ზაურის ძე ლაჩავას

გილოცავთ დაბადების დღეს.

ოყურეშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი.

მარინა, მირზა ჩაკვეტაძეებს
რუსუდან, ჯუმბერ გოგიძეებს

გილოცავთ პატარა ლაშას შეძენას. გაგვზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი.

დიტო გოგიძე, კოშა კოპალიანი, ნუგზარ ჭაბუკიანი ოჯახებით.

რუსიკო [illegible]
ჩანქსელთანებს

გილოცავთ [illegible] შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ცაგერის № 1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

თამარ, გრიშა, ნაილი
ბელა ლეთოდიანებს

გილოცავთ ჯიგულის ბედნიერებას. შეძენა და სიმრავლე ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ნაირა, გრიგოლ ხალინაძეები ოჯახით.

თამარ სილაგაძეს

გილოცავთ გიას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

მაია, მარო თვალავაძეები, ანზორ დავითულიანი.

რონი, ზოია
მუშკუდიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

გენრიხ, გერა, იზო ბაკურაძეები.

ხათუნა ბენდელიანს,
ამირან ხვადაგიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. იხარეთ და იმრავლეთ.

რუსიკო კოპალიანი, ნატო მურცხვალაძე.

ლოლა, ვასილ
ჭაბუკიანებს

გილოცავთ შვილის—ნაირას ბედნიერებას.

გურამ ტყაბლაძე, სამსონ ჩხეტიანი ოჯახებით.

ნინო, ნუგზარ
სალინაძეებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

თენგიზ ლეშკაშელი ოჯახით.

მთვარინა, გურამ
გურჯალიანებს

გილოცავთ შვილიშვილების— მარიანას, მარიამისა და გიორგის შეძენას, შემატებოდეთ მრავალი და-ძმა.

ტუხუ გურგუჩიანი ოჯახით.

მაკა მურთაზის ასულ
ჩარხიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას.

ინეზა გოლეთიანი, ელზა გოლოძე, თეა ხეცურიანი.

ხსოვნა

იმედა ჭიჭიკოს ძე ჭოხონელიძე

მართლაც რომ იმედი იყავ ჩვენი, იმედად მოვლენილი, სანუკვარი და სანატრელი სამთელი 4 დის შემდეგ. ჩვენს ოჯახში შენი დაბადებით აინთო ნაპერწკალი ჩვენი გვარის გაგრძელებისა.

რა კარგი იყავ, ყველას მოსიყვარულე, დედ-მამის იმედი და ნუგეში, ყველგან და ყველაფერში სიკარგითა და სიმკვირცხლით გამოირჩეოდი.

უბედური გამოდგა შენთვის 1982 წელი, შენი დაბადების დღე, დასაფლავების დღე. ვერავინ გიშველა, სად არ წაგიყვანა ტანჯულმა დედამ და ბოლოს შენი უმანკო, ნათელი სული მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში დალიე.

ჩვენო საყვარელო, ნაადრევად ჩამქრალო სანუკვარო ძმა—სანთელო! შენს დაშორებას ვერ გაუძლო უბედურმა მამამ, ვერ აიტანა უძეოდ ყოფნა და შენთან წამოვიდა.

უკვე 10 წელია უშენოდ ვხვდებით შენი დაბადების დღეს, წელსაც მოვედით 30 სექტემბერს, მოგილოცეთ დაბადების დღე, მოგიტანეთ გაუშლელი ვარდები, რომელიც მუდამ შენ სახეს გვაგონებს.

შენი ტანჯული, ქანცგალეული დედა კვლავ ცხარე ცრემლებს დაგაფრქვევს საფლავზე. იქნებ საქორწილოდ ემზადები, ბიჭო. შენი ტოლები უკვე ქორწინდებიან.

მშვიდად იყავ იქ, ნათელი ნუ მოჰკლებოდეს შენს სპეტაკ და ლამაზ სულს, ჩვენო იმედა, დღენიადაგ სანატრელო ბიჭო.

შენით გამწარებული და გაწამებული დედა, დები: ლელა, ნაირა, ლედი და მარინე.

გია ჩაკვეტაძე, მურმან გასვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მწუხარებაში პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს

დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ირინე, ჯემალ ლიპარტელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიზო შალვას ძე ხვადაგიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მიშა ყურაშვილი, რუბენ გოგიძე, ქუჩუკი შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს, ლია, დავით დავითულიანებს შვილისა და დისშვილის

დათო ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

კაკო, დიმიტრი მურღცხვალაძეები, რუბენ, გელა ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მწუხარებაში ავთო, სულიკო ბერიძეებს დისშვილისა და მულისშვილის

მირიან ხიდაშელის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის

დათო ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

მამუკა ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს

დათოს

გარდაცვალების გამო.

ანზორ კოპალიანი, გერონტი ნემსწვერიძე, მურთაზ გულბანი, ხვიჩა ფანჯავიძე, ვაჟა მუსელიანი, მიშა ონიანი, მექი ყურაშვილი თანაუგრძნობენ ძაძუ სილაგაძეს დის

დუდუშას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები და ნათესავები ნოდარ, სამსონ, რამაზ, გენო, ბიჭიკო გურგუჩიანები, კაპიტო ნემსწვერიძე, სერაპიონ ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

ჯიუ გურგუჩიანი
ბუჟუ გურგუჩიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულების ოჯახებს.

„ლიახვი“ გამოდის ხუთშაბათს
ტირაჟი 2900 შეკვეთა №19

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-61, რედაქტორის მოადგილის—22-35, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-28

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.

ცაგერის რაიონული სტამბა.